საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

882024143898

განცხადების რეგისტრაციის დრო
08 თებ 2024 13:31

გადახდის ნომერი: **NW 25302714**
განცხადების ნომერი: 25302714
განცხადების მიღების დრო: 08 თებ 2024 13:30

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (დაინტერესებული პირი: სს თიბისი ბანკი /204854595/ , მესაკუთრე: შპს აშენდი სავაჭრო ცენტრი /402110942/) რომლითაც მოთხოვნილია ქვეიჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე. უძრავი ნივთის მისამართი: თბილისი, ნადირა ხოშარაულის ქუჩა #25 (ზონა:თბილისი, სექტორი: დიდუბე, საკადასტრო კოდი: 01.13.05.004.255)

განცხადებაში მოთხოვნილია საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადებას თან ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

1. წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
2. ქვეიჯარის უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი
3. მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი
4. არჩილ მინდიაშვილის მინდობილობა იხ. საქმე #882024008082

დამატებით წარმოდგენილი: **(13.02.2024 16:36)**

დამატებით წარმოდგენილია ქვეიჯარის ხელშეკრულება

10

მიღების წყარო: იუსტიციის სახლის მიერ გაცემული სერვისი

მომსახურების ვადა: გადაწყვეტილების მიღების ვადა: 20 თებ 2024
საფასური: 171 ლარი.

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო SMS–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;

ქვეიჯარის ხელშეკრულება

ხელშეკრულების თარიღი: 2024 წლის 08 თებერვალი

მხარეები: ქვემოიჯარე ან/და ბანკი სს ,,თიბისი ბანკი'' ს/კ 204854595 მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის N7 წარმომადგენელი: ლოგისტიკის განყოფილების სატრანსპორტო უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი არჩილ მინდიაშვილი პ/ნ 01017013414
ქვემეიჯარე შპს „აშენდი სავაჭრო ცენტრი“ ს/კ 402110942 წარმომადგენელი: დირექტორი ნუგზარი კუბლაშვილი პ.ნ 60003001471 ანგარიშის ნომერი -GE88TB7080636080100009
ქვეიჯარის საგანი: ქვეიჯარის საგანია არასასოფლო სამეურნეო ფართობი 24955.00 კვ.მ. დან 2 (ორი) კვ.მ მდებარე: ქ. თბილისი, ნადირა ხოშარაულის ქუჩა #25 ს/კ 01.13.05.004.255
ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი: მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (ასეთის ვალდებულების არსებობის შემთხვევაში) ხელშეკრულების დასრულების თარიღი: 2024 წლის 01 დეკემბრის ჩათვლით

საქართველოს კანონმდებლობისა და საკუთარი ნამდვილი ნების შესაბამისად მხარეები ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ქვემეიჯარემ ქვეიჯარით გადასცა, ხოლო ქვემოიჯარემ ბანკომატის დამონტაჟების მიზნით იქირავა უძრავი ქონება (შემდგომში ,,ქვეიჯარის საგანი“).

1.2 ქვემეიჯარე ქვემოიჯარეს ანიჭებს ქვეიჯარის საგნის დაქირავების (იჯარით აღების) უპირატეს უფლებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან მისი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ 6 (ექვსი) თვის გასვლამდე, ქვეიჯარის საგნის მესამე პირისთვის მიქირავების (იჯარით გადაცემის) სურვილის არსებობის შემთხვევაში, ქვემეიჯარე ვალდებული იქნება ქვეიჯარის საგნის დაქირავება (იჯარით აღება) შესაბამისი პირობების მითითებით წერილობით შესთავაზოს ქვემოიჯარეს და ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში შეთავაზებაში აღნიშნული პირობებით დადოს მასთან შესაბამისი ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი შეთავაზების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ქვემოიჯარე არ გამოთქვამს თანხმობას, ქვემეიჯარეს უფლება ექნება მიაქირაოს (იჯარით გადასცეს) ქვეიჯარის საგანი შეტყობინებაში მითითებულ პირს, შეტყობინებაში მითითებული პირობებით.

2. ქვეიჯარის საგნით სარგებლობის ვადა

2.1 იმ შემთხვევაში, თუ ქვეიჯარის საგნით სარგებლობის ვადის გასვლამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე არც ერთი მხარე მეორე მხარის წინაშე წერილობით არ გამოთქვამს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის შეწყვეტის სურვილს, მაშინ ხელშეკრულება ჩაითვლება გაგრძელებულად იგივე ვადით. იგივე წესი იმოქმედებს ქვეიჯარის საგნით სარგებლობის ვადის ყოველი შემდგომი გაგრძელებისას.

2.2 ქვემოიჯარეს ნებისმიერ დროს შეუძლია ცალმხრივად შეამციროს ქვეიჯარის საგნით სარგებლობის ვადა, საიჯარო თანხა ან შეწყვიტოს ქვეიჯარის საგნით სარგებლობა და ქირის გადახდა 60 (სამოცი) დღით ადრე ქვემეიჯარესთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით. ამ შემთხვევაში ქვემოიჯარე აღადგენს ქვეიჯარის საგნის დაქირავებამდელ მდგომარეობას.

2.3 ქვემეიჯარეს უფლება აქვს მოსთხოვოს ქვემოიჯარეს ქვეიჯარის საგნით სარგებლობის შეწყვეტა 60 (სამოცი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით.

ქვემეიჯარე

ქვემოიჯარე

2.4 ქვემეიჯარის მიერ ქვეიჯარის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობა დარეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტით.

3. ქირის ოდენობა და გადახდის წესი

3.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ყოველთვიური ქირა განისაზღვრება 200 (ორასი) ლარის ოდენობით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადების ჩათვლით.

3.2 ქირის ათვლა დაიწყება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის მომენტიდან და გადახდილი იქნება არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის ხუთი რიცხვისა, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, უნაღდო ანგარიშწირებით, ქვემეიჯარის საბანკო ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის გზით.

4. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

4.1 ქვემეიჯარე ვალდებულია:

4.1.1 მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში გადასცეს ქვემოიჯარეს ქვეიჯარის საგანი.

4.1.2 გადასცეს ქვემოიჯარეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

4.1.3 ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში გადაიხადოს ქვეიჯარის საგანთან და ქირასთან დაკავშირებული ყველა სახის გადასახადი მათ შორის ელ.ენერგიის გადასახადი. ქვემოიჯარის მიერ ამ ხელშეკრულების 4.3.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში, ყველა საჭირო საშუალებით (მათ შორის შესაბამისი საბუთების ხელმოწერით) დაეხმაროს ქვემოიჯარეს შესაბამისი ნებართვ(ებ)ის მიღებაში;

4.1.4 არ ჩაერიოს ქვემოიჯარის საქმიანობაში, ხელი შეუწყოს ქვემოიჯარეს ქვეიჯარის საგნის შეუფერხებელ/შეუზღუდავ გამოყენებაში და უზრუნველყოს ბანკის ტექნიკური ჯგუფის/საინკასაციო სამსახურის შეუფერხებელი დაშვება ბანკომატთან ინკასაციის განსახორციელებლად. ამ მიზნით სავალდებულოა ნებისმიერი ინვენტარი და სხვა საგნები დაშორებულ უნდა იქნეს ბანკომატიდან არანაკლებ ნახევარი მეტრით, რათა ხელი არ შეეშალოს ინკასაციის პროცესს. თუ ამ პუნქტში აღწერილი ვალდებულებების დარღვევის გამო, შეფერხდა ბანკომატის ჩვეულებრივი ფუნქციონირება ან/და ბანკს წაერთვა ქვეიჯარის საგნით მიზნობრივი სარგებლობის სრულყოფილი შესაძლებლობა, ამ პერიოდის განმავლობაში ბანკი გათავისუფლდება ქირის გადახდის ვალდებულებისაგან.

4.1.5 იმ შემთხვევაში, თუ გაყიდის, გაასხვისებს, გააჩუქებს, ან სხვაგვარად გადასცემს საკუთრების უფლებას ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტში აღწერილ ქვეიჯარის საგანზე, ფართობის გადაცემის აქტში (ხელშეკრულებაში) შეიტანოს საგარანტიო პუნქტი, რომელიც მოიცავს ამ ხელშეკრულების ყველა აუცილებელ პირობას, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში აქ მოცემული შეთანხმებები მთელი სისრულით იმოქმედებს ახალ მესაკუთრესთან მიმართებაშიც, ასევე დაუყონებლივ ამიაწოდოს ინფორმაცია ქვემოიჯარეს ახალი მესაკუთრის შესახებ;

4.1.6 დაუყოვნებლი აცნობოს ქვემოიჯარეს შემდეგ სატელეფონო ნომრებზე: 0322 911 140 – ცხელი ხაზი და 599 38 77 44 – მალხაზ გორგაძე, ნებისმიერი ბანკომატთან დაკავშირებული საეჭვო და საგულისხმო ფაქტის შესახებ, რაც დაკავშირებული არ არის ბანკომატის პირდაპირი დანიშნულების გამოყენებასთან. საეჭვო და საგულისხმო ფაქტში იგულისხმება მათ შორის, მაგრამ არასრულად: ქურდობა ან ასეთის მცდელობა, ძარცვა ან ასეთის მცდელობა, ბანკომატის დაზიანება ან ასეთის მცდელობა, ბანკომატის განადგურება ან საეჭვო და საგულისხმო ფაქტის შესახებ ბანკომატთან გადამეტებული ძალის გამოყენება ან ასეთის მცდელობა, ბანკომატის ელექტრონული საშუალებით მიერთება ან ჩართვა და სხვა ან ასეთის მცდელობა, ბანკომატის მთლიანობის წებისმიერი ფორმით დაზიანება ან შეცვლა ან ზემოქმედება ან ასეთის მცდელობა.

4.1.7 ქვეიჯარის საგნის გადაცემამდე, უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით დენის დამიწებული წყაროს მიყვანა ბანკომატამდე შესაბამისი სტანდარტის კაბელით და ხელშეკრულების საგნისათვის 24 საათიანი რეჟიმით ელ.ენერგიის მიწოდება; ბანკომატამდე დენის დამიწებული წყაროს მიყვანის ფაქტს და მის ვარგისიანობას სტანდარტების მიხედვით, დამატებით შეამოწმებს ბანკის ელექტრიკოსთა ჯგუფი ან/და ბანკის მიერვე შერჩეული სხვა გარე კომპანია. თუ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შესრულებული სამუშაო ხარვეზიანი, ქვემეიჯარე ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ეს ხარვეზი.

4.1.8 გადაუდებელ შემთხვევებში (ღამის საათებში და არასამუშაო დღეებში) უზრუნველყოს ქვემოიჯარის დაშვება ხელშეკრულების საგანთან (ბანკომატთან); ამ შემთხვევაშიც იმოქმედებს ხელშეკრულების 4.1.4 პუნქტი.

4.1.9. ქვემეიჯარე ვალდებულია ქვეიჯარის საგნის გასხვისების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს ქვემოიჯარეს აღნიშნული ფაქტის შესახებ, მიაწოდოს ახალი მესაკუთრის და ასევე მისი საბანკო ანაგრიშის

ქვემეიჯარე

ქვემოიჯარე

რეკვიზიტები (კუმულატიური პირობა). აღნიშნული ინფორმაციის ქვემოიჯარესთვის მიწოდების ვალდებულება ვრცელდება ქვემეიჯარის უფლებამონაცვლეზეც. ქვემეიჯარე ან/და მისი უფლებამონაცვლის მიერ ამ პუნქტით გათვალისიწნებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ქვემოიჯარე შეაჩერებს ქირის გადახდას, თუ მისთვის ცნობილი გახდება იჯარის საგნის გასხვისების ფაქტი, რაც არ ჩაითვლება მის მიერ ვალდებულების დარღვევად და ამ პერიოდის განმავლობაში ქვემოიჯარე მიიჩნევა ქვეიჯარის საგნის მართლზომიერ მფლობელად.

4.20. 4.1.9. პუნქტის გათვალისწინებით, თუ ქვემოიჯარე მოგვიანებით შეიტყობს ქვეიჯარის საგნის გასხვისების ფაქტს, რა დროსაც ქირა უკვე ჩარიცხული იქნება ქვემეიჯარესთვის (მველი მესაკუთრისათვის), აღნიშნული გადახდა ჩაითვლება ჯეროვან შესრულებად, ხოლო შემდეგი გადახდებისათვის იმოქმედებს 4.1.9. პუქნტით დადგენილი დანაწესი.

4.21. მისი არ ყოფნის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულების 4.1.4 და 4.1.8. პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის, გამოყოს ბანკთან შესაბამისი 2 (ორი) საკონტაქტო პირი, რომელიც შეასრულებს ქვემეიჯარის სახელით ნაკისრ ვალდებილებებს და რომლის საკონტაქტო რეკვიზიტებიც მოცემულია ქვემეიჯარის გრაფაში. თუ ამ პუნქტში აღწერილ საკონტაქტო პირებთან ვერ მოხდება დაკავშრება ან/და დაკავშრების მიუხედავად ქვემოიჯარეს ისინი ვერ გაუწევენ დახმარებას არსებული პრობლემის მოგვარებაში, რის გამოც, შეფერხდა ბანკომატის ჩვეულებრივი ფუნქციონირება ან/და ბანკს წაერთვა ქვეიჯარის საგნით მიზნობრივი სარგებლობის სრულყოფილი შესაძლებლობა, ამ პერიოდის განმავლობაში ბანკი გათავისუფლდება ქირის გადახდის ვალდებულებისაგან.

4.22. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ქვეიჯარის საგანში შესაბამისი სანიტარული წესების და პირობების დაცვა, რისთვისაც წელიწადში არანაკლებ 2ჯერ, განახორციელოს ქვეიჯარის საგნის სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება. თუ რომელი ვალდებულების დარღვევის შედეგად დამდგარი ფაქტის გამო (მაგ: რომელიმე მღრღნელი ცხოველის მოქმედების შედეგად) დაზიანდება ბანკომატი ან მისი რომელიმე ნაწილი (მაგ: კაბელები), ასეთ შემთხვევაში ქვემეიჯარე ვალდებულია აღმოფხვრას დაზიანება და აანაზღაუროს დამდგარი ზიანი სრულად. აღნიშული პასუხისმგებლობის გარდა, ყოველ ასეთ შემთხვევაზე, ქვემოიჯარე უფლებამოსილია დააკისროს ქვემეიჯარეს, ხოლო ქვემეიჯარე ვალდებულია გადაუხადოს ქვემოიჯარეს პირგასამტეხლო ყოველთვიური ქირის ერთმაგი ოდენობით.

4.23. ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და ვადის გასვლის შემთხვევში, ქვემეიჯარე ვალდებულია გადაიხადოს საჯარო რეესტრში ხელშეკრულების რეგისტრაციის გაუქმებისათვის დადგენილი ხარჯი.

4.2 ქვემოიჯარე ვალდებულია:

4.2.1 ქვეიჯარის საგანი შეინახოს ნორმალურ და გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს შენობის ნორმალური ცვეთა და დაუძლეველი ძალით ზიანის მიყენება.

4.3 ქვემოიჯარეს უფლება აქვს:

4.3.1 საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი ხარჯებით შეაკეთოს და გაარემონტოს ქვეიჯარის საგანი.

4.3.2 ქვემეიჯარესთან შეთანხმებით დაკიდოს და გამოაკრას აბრები (მათ შორის სარეკლამო ინფორმაციის შემცველი) ქვეიჯარის საგნის შიდა და გარე კედლებზე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 ქვემეიჯარეს უფლება აქვს ვადამდე შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამ შემთხვევაში ქვემეიჯარე ვალდებულია დაუბრუნოს ქვემოიჯარეს წინასწარ გადახდილი ქირა, აანაზღაუროს ბანკომატის გადაადგილებასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და აუნაზღაუროს ქვემოიჯარეს ყველა ის დანახარჯი, რაც ქვემოიჯარემ გასწია ქვეიჯარის საგანზე.

5.2 იმ შემთხვევაში თუ ქვემეიჯარე ხელშეკრულებას შეწყვეტს მე-2 მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით და ქვემოიჯარეს ჩაანაცვლებს სხვა ბანკით ან/და ფინანსური ორგანიზაციით, მაშინ ქვემეიჯარე დაჯარიმდება 2 000 (ორი ათასი) ლარით.

5.3 ქვემეიჯარე გამოთქვამს უპირობო და გამოუთხოვად თანხმობას და ქვემოიჯარეს უფლება აქვს ქვემოიჯარის მხრიდან არასწორად ჩარიცხული თახების და ამ ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უაქცეპტო წესით განახორციელოს თანხების ჩამოჭრა ქვემეიჯარის ნებისმიერი ანგარიშიდან.

6. სხვა პირობები

ქვემეიჯარე

ქვემოიჯარე

6.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2024 წლის 01 დეკემბრის ჩათვლით.

6.2 ამ ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია ამ ხელშეკრულების ფორმის დაცვით.

6.3 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე და წარმომადგენლობაზე.

6.4 ეს ხელშეკრულება წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

6.5 მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

6.6 ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

6.7 ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისათვის, ერთი რეგისტრაციის მიზნით წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ.თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს.


ხელმოწერები

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №1097
თარიღი 13.02.24წ.
(ოთხი)
ხელმოწერა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი № 2298
თარიღი 12.02.2024 წ.
ხელმოწერა

ქვემოიჯარე

ქვემოიჯარე


IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ნუგზარი
NUGZARI
გვარი / LAST NAME
კუბლაშვილი
KUBLASHVILI
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მამ / M
პირადი No / PERSONAL No
60003001471
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
16.02.1958
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
22.04.2026
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
15IA99543



საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

დაინტერესებული პირი: შპს აშენდი სავაჭრო ცენტრი
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: **402110942**
საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ხოშარაულის ქ., **N 27ა; ხოშარაულის ქ., N 29**

წარმომადგენელი: ნუგზარი კუბლაშვილი
პირადი ნომერი: **60003001471**
მისამართი: თბილისი აგარის ქ. **N 28**

განცხადება

მოვითხოვ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მოახდინოთ იჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე, მდებარე: ქალაქი თბილისი, ნადირა ხოშარაულის ქუჩა **N25,** [ზონა:თბილისი, სექტორი: დიდუბე, საკადასტრო კოდი: 01.13.05.004.255] და განცხადების წარმომდგენზე გასცეთ:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადებას თან ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

1. წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
2. იჯარის უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი

მომსახურების ვადა: განცხადების წარმოდგენის დღეს.
საფასური: 357 ლარი.

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 6^2 პუნქტის თანახმად მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია გადაამოწმოს სააგენტოსთვის წარდგენილი საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზის მონაცემების სისწორე და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებთან შესაბამისობა.

დაინტერესებული პირი:----------შპს აშენდი სავაჭრო ცენტრი

წარმომადგენელი:----------ნუგზარი კუბლაშვილი

განცხადების წარდგენის თარიღი: 20 თებ 2024

მიმღები: ირმა გაგნიძე

იჯარის ხელშეკრულება

ქ.თბილისი 25.12.2023 წ.

ერთის მხრივ შპს "აშენდი ჯგუფი" (საიდ.კოდი 404950157) შემდგომში „მეიჯარე", წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუგზარი კუბლაშვილის (პირ.№ 60003001471) სახით და მეორეს მხრივ შპს "აშენდი სავაჭრო ცენტრი" (საიდ. კოდი 402110942) შემდგომში "მოიჯარე", წარმოდგენილი წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუგზარი კუბლაშვილის (პირ.№ 60003001471) სახით ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე დროებით სარგებლობაში იღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უძრავ ქონებას-შენობა ნაგებობას (საიჯარო ქონება);

1.2. საიჯარო ქონება წარმოადგენს შემდეგ უძრავ ქონებას:

- საკადასტრო კოდი **01.13.05.004.211, 01.13.05.004.209, 01.13.05.004.239; 01.13.05.004.255; 01.13.05.004.151**
- მისამართი **ქ. თბილისი, ხოშარაულის ქუჩა (ს/კ 01.13.05.004.239); ქ.თბილისი ხოშარაულის ქ.№27ა (ს/კ 01.13.05.004.209); ქ.თბილისი ხოშარაულის ქ.N29 (ს/კ 01.13.05.004.211); ქ.თბილისი, ხოშარაულის ქ.N25 (ს/კ 01.13.05.004.255); ქ.თბილისი, ხოშარაულის ქ.N29 (ს/კ 01.13.05.004.151)**
- დაზუსტებული ფართობი: **01.13.05.004.211 კოდზე დაზუსტებული ფართობი 195 კვ.მ, 01.13.05.004.209 კოდზე დაზუსტებული ფართობი 8113 კვ.მ (შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი N1 საერთო ფართობით 7296 კვ.მ. (მათ შორის პირველ სართულზე არსებული ფართი 105 კვ.მ.) N2, N3, N4, N5, N6 (აუზი), N7, N8, N9, N10, N11, N12, N13, N14), 01.13.05.004.239 კოდზე დაზუსტებული ფართობი 209 კვ.მ; 01.13.05.004.255 კოდზე დაზუსტებული ფართობი 24955.00 კვ.მ.; 01.13.05.004.151 კოდზე დაზუსტებული ფართობი 1983 კვ.მ.**

1.4. მოიჯარეს საიჯარო ქონება გადაეცემა ქვეიჯარით გაცემის მიზნით;

2. საიჯარო ქირა:

2.1 იჯარით აღებული ქონებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 130 000 დოლარის ექვივალენტ ლარს **დღგ-ს ჩათვლით.**

2.2 საიჯარო ქირა გადაიხდევინება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ყოველთვიურად, ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის ჩარიცხვით თიბისი ბანკის შემდეგი ანგარიშის ნომერზე: **GE73TB7350036080100001**

2.3 საიჯარო ქირა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების საფუძველზე. საიჯარო ქირის ღირებულების ცვლილება განიხილება წელიწადში ორჯერ.

2.4 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში მოიჯარე იხდის პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%–ის. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მოიჯარეს საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისაგან.

2.5 გარდა საიჯარო ქირისა მოიჯარე ასევე იხდის მიმდინარე კომუნალურ გადასახადებს, მათ შორის, ელექტროენერგიის საფასურს საიჯარო ქონებით სარგებლობის ფარგლებში, ასევე საერთო სარგებლობის ფართის შენახვისა და დასუფთავების ხარჯებს, დაცვის გადასახადს.

3. მეიჯარის უფლება–მოვალეობანი:

3.1. მეიჯარე უფლებამოსილია:

ა. ნებისმიერ დროს დაათვალიეროს და შეამოწმოს საიჯარო ქონება;

ბ. მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების გაუარესების შემთხვევაში, მის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოიჯარეს მოსთხოვოს საიჯარო ქონების აღდგენა, ზიანის ანაზღაურება, ასევე მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა;

გ. გაასხვისოს საიჯარო ქონება მოიჯარის თანხმობის გარეშე.

დ. საიჯარო ქონებასთან დაკავშირებით არ დადოს ისეთი გარიგება, რამაც შეიძლება გააძნელოს ან შეუძლებელი გახადოს მოიჯარის მიერ ამ ხელშეკრულების შესრულება;

3.2. მეიჯარე ვალდებულია:

ა. გადასცეს მოიჯარეს საიჯარო ქონება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარგებლობის მდგომარეობაში, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება ჩაბარების აქტის შესაბამისად;

ბ. აცნობოს მოიჯარეს საიჯარო ქონების ყველა ნაკლის შესახებ და გაუწიოს ინფორმაციული ხასიათის დახმარება საიჯარო ქონების უკეთ გამოყენების მიზნით;

გ. ხელი შეუწყოს მოიჯარეს ყველა სათანადო საბუთის მიღებაში, რისი საჭიროებაც მოიჯარეს წარმოეშობა იჯარით აღებული ქონებით სარგებლობისას.

დ. არ ჩაერიოს მოიჯარის საქმიანობაში და უზრუნველყოს მის მიერ საიჯარო ქონებით შეუფერხებელი სარგებლობა.

ვ. წერილობით შეატყობინოს მოიჯარეს იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის, აგრეთვე იჯარის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4. მოიჯარის უფლება–მოვალეობანი:

4.1. მოიჯარეს უფლება აქვს:

ა. საიჯარო ქონების სარგებლობით მიღებული შემოსავალი გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ როგორც მესაკუთრემ.

ბ. მოახდინოს საიჯარო ქონების გაუმჯობესება.

4.2. მოიჯარე ვალდებულია:

ა. გამოიყენოს საიჯარო ქონება მისი დანიშნულებისა და ამ ხელშეკრულების შესაბამისად, მიიღოს ყველა ზომა საიჯარო ქონების ნორმალურ მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის.

ბ. აცნობოს მეიჯარეს ყველა საკითხის ან გარემოების შესახებ,რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საიჯარო ქონებაზე.

გ. მეიჯარეს მისი მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინოს საიჯარო ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დ. მოიჯარეს უფლება აქვს საიჯარო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს ქონებაზე მიმდინარე რემონტი, ქონების რეკონსტრუქციის სამუშაოები, ასევე ისეთი სამუშაოები რომელიც აუცილებელია შენობის და საერთო სარგებლობის ფართის გასაუმჯობესებლად ან შესანახად.

ე. ხელშეკრულების ვადის გასვლისას მეიჯარის მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში გაათავისუფლოს საიჯარო ქონება და ჩააბაროს მეიჯარეს.

ე. დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ვ. მოიჯარე იღებს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად უზრუნველყოს იჯარის საგანთან დაკავშირებული ყველა ტიპის უსაფრთხოების წესების დაცვა, მისი სავალდებულო დაზღვევა, ასევე მოიჯარე წარმოადგენს უფლებამოსილ და პასუხისმგებელ მხარეს იჯარის საგანთან დაკავშირებულ საიჯარო, ქვეიჯარის, ქირავნობის და მის მონაწილეობით ინიცირებული ნებისმიერი სხვა ურთიერთობიდან მომდინარე სამართლებრივ ურთიერთობებში.

ზ. მოიჯარე პასუხისმგებლობას იღებს იჯარის საგანთან დაკავშირებულ ნებისმიერ შესაძლო მოსალოდნელ რისკზე.

4.3. მოიჯარე პასუხს აგებს საიჯარო ქონების ისეთი ცვლილების ან გაუარესებისათვის რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მართლზომიერი სარგებლობით. ასევე იღებს პასსუხისმგებლობას აანაზღაუროს საიჯარო ქონებაზე გაწეული აუცილებელი ხარჯები.

5. საიჯარო ქონების გადაცემისა და დაბრუნების პირობები

5.1. საიჯარო ქონების გადაცემა ხორციელდება მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების მეშვეობით. სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საიჯარო ქონების მდგომარეობა და მხარეთა შენიშვნები.

5.3. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება დაბრუნდება იმ მდგომარეობაში რა მდგომარეობაშიც იმყოფებოდა მიღების მომენტში,ხელშეკრულების შესაბამისად სარგებლობის გათვალისწინებით.

5.4. ქონების დაბრუნება ხორციელდება ხელშეკრულების შეწყვეტისას მეიჯარის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტით.

6. ხელშეკრულების ვადები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
6.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 12 თვე .
6.3. ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელებულად ითვლება იგივე პირობებითა და უვადოდ, თუკი მხარეები 6.2 მუხლში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ არ გამოთქვამენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს.
6.4. მხარეები უფლებამოსილნი არიან ზეპირი ან წერილობითი შეთანხმებით მოშალონ ხელშეკრულება ვადის გასვლამდეც.
6.5. მოიჯარეს შეუძლია მოითხოვოს საიჯარო ქონების დაგვიანებით გადმოცემით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
6.6 მოიჯარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე მოშლა , თუ საიჯარო ქონება გამოუსადეგარი გახდება იმ გარემოებათა გამო, რისთვისაც მოიჯარეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება.
6.7. მეიჯარეს უფლება აქვს იჯარის ვადის გასვლამდე, 2 კალენდარული დღით ადრე გაფრთხილების შემთხვევაში, მოშალოს ხელშეკრულება თუ მოიჯარე:
ა. დანიშნულებისამებრ არ იყენებს საიჯარო ქონებას.
ბ. არ იხდის ქირას.

7. დავათა გადაწყვეტა

7.1 ხელშეკრულების მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;
7.2 მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაწყვეტს სასამართლო.

8. დასკვნითი დებულებანი:

8.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე,თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად.
8.2 ურთიერთობები რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით,გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.3. ცვლილების შეტანა ხელშკრულებაში შესაძლებელია როგორც წერილობითი ისე ზეპირი ფორმით.
8.4. ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით უქმდება მხარეთა შორის მანამდე არსებული ყველა შეთანხმება 1.2. პუნქტში ჩამოთვლილ ყველა მიწის ნაკვეთზე.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

მეიჯარე:

შპს აშენდი ჯგუფი ”

საიდ. ნომერი: 404950157

მის.: ხოშარაულის №25

სს „თიბისი ბანკი“

ა/ა **GE73TB73 5003 6080 1000 01**

დირექტორის /ნ. კუბლაშვილი

მოიჯარე:

შპს „ აშენდი სავაჭრო ცენტრი“

საიდ. ნომერი: 402110942

მის: ხოშარაულის №25

სს „თიბისი ბანკი“

ა/ა **GE88TB7080636080100009**

დირექტორი /ნ. კუბლაშვილი/

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №614
თარიღი 20 თებერვალი 2024
04

მიღება -ჩაბარების აქტი

ქონების იჯარით გადაცემის თობაზე

25.12.2023 წელი

ერთის მხრივ შპს "აშენდი ჯგუფი" (საიდ.კოდი 404950157) შემდგომში „მეიჯარე", წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუგზარი კუბლაშვილის (პირ.№ 6003001471) და მეორეს მხრივ შპს "აშენდი სავაჭრო ცენტრი " (საიდ. კოდი 402110942) შემდგომში "მოიჯარე", წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუგზარი კუბლაშვილის სახით (პირ.№ 6003001471), ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილებით, ვდებთ წინამდებარე მიღება -ჩაბარების აქტს შემდეგზე, რომ მოიჯარემ მიიღო , ხოლო მეიჯარემ გადასცა ა/წ 26 დეკემბერს იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება (ს/კ01.13.05.004.211, ს/კ01.13.05.004.209, ს/კ01.13.05.004.239; ს/კ 01.13.05.004.255; ს/კ 01.13.05.004.151) .

ხელმოწერით ორივე მხარე ადასტურებს, რომ საიჯარო ქონება არის ნივთობრივად უნაკლო და ხელშეკრულების 1.4 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების მიზნებისათვის ვარგისიანი.

მეიჯარე:

შპს აშენდი ჯგუფი "

საიდ. ნომერი: 404950157


დირექტორის /ნ. კუბლაშვილის

მოიჯარე:

შპს „ აშენდი სავაჭრო ცენტრი"

საიდ. ნომერი: 402110942

დირექტორი /ნ. კუბლაშვილი/


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ნუგზარი
NUGZARI
გვარი / LAST NAME
კუბლაშვილი
KUBLASHVILI
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
ვ / M
პირადი No / PERSONAL No
60003001471
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
16.02.1958
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
22.04.2026
ბარათის No / CARD No
15IA99543
ხელმოწერა
SIGNATURE

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.13.05.004.255**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882024143898 - 08/02/2024 13:31:14

მომზადების თარიღი
27/02/2024 12:54:52

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	დიდუბე		
01	**13**	**05**	**004/255**

მისამართი: ქალაქი თბილისი, ნადირა ხოშარაულის ქუჩა, N 25

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 24955.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი: **01.13.05.004.234; 01.13.05.004.137;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2, N3, N4, N5, N6 N7

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 902018051576 , თარიღი 04/12/2018 14:46:05
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 10/12/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ხელშეკრულება (მიწის ნაკვეთის გაცვლის თაობაზე) , დამოწმების თარიღი:13/01/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:11/07/2012 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ხელშეკრულება (უძრავი ქონების გაღახდის განვადებით ნასყიდობის შესახებ) N121251596 , დამოწმების თარიღი:21/11/2012 ,ნოტარიუსი მ.გოგოლაძე
- ცნობა (ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ), რეესტრის ნომერი N121263600, დამოწმების თარიღი26/11/2012, ნოტარიუსი მ. გოგოლაძე
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 მაისის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმი. Nსაქმე 2/159-13

მესაკუთრეები:
შპს აშენდი ჯგუფი , ID ნომერი:404950157

მესაკუთრე:
შპს აშენდი ჯგუფი

აღწერა:

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019496679 თარიღი 24/06/2019 14:17:36	**იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"**204854595; საგანი:დაზუსტებული ფართობი: 24955.00 კვ.მ და შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2, N3, N4, N5, N6 N7 ; **იპოთეკის ხელშეკრულება N1231232704755, დამოწმების თარიღი24/06/2019, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 24/06/2019	

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 902018051576 თარიღი 04/12/2018 14:46:05	**მოიჯარე: შპს "აშენდი სავაჭრო ცენტრი"** 402110942; საგანი:მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი: 24955.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2, N3, N4, N5, N6 N7 ; ვადა:12 თვე; **იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი04/12/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 10/12/2018	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი20/02/2024, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882024143898 თარიღი 08/02/2024 13:31:14	**ქვემოიჯარე: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"**204854595; **ქვემეიჯარე: შპს "აშენდი სავაჭრო ცენტრი"** 402110942; საგანი:დაზუსტებული ფართობი: 24955.00 კვ.მ-დან 2.00 კვ.მ.; საბოლოო თარიღი:01/12/2024; **ქვეიჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი:12/02/2024, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 27/02/2024	**ქვეიჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი:13/02/2024, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოლებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge